საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

მოქალაქე რამაზ ჭუმბურიძის (პ/ნ 01034004252), მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილის I მიკრორაიონი, კორპუსი 24, ბინა 20 .

ტ. 593 31-60-12.

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ მოქალაქე რამაზ ჭუმბურიძე (პ/ნ 01034004252), მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილის I მიკრორაიონი, კორპუსი 24, ბინა 20, გეგმავს თევზსაშენი ტბორების მოწყობას, რომლის ჯამური მოცულობა არ აღემატება 18500 მ³-ს (GPS კოორდინატში X=502720.00 ; Y=4611960.00).

თევზსაშენი ტბორების უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულიიქნება 1900 მეტრით, ხოლო ვაზიანის სამხედრო აეროდრომი 2000 მეტრზე მეტი მანძილით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-9 მუხლის მე-9.9 ნაწილის შესაბამისად მოქალაქე გელა კაპანაძის მიერ დაგეგმილი თევზსაშენი ტბორების მოწყობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

თევზსაშენი ტბორების მოწყობის ტერიტორია მდებარეობს: გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით 81.07.04.249; და წარმოადგენს მოქალაქე გელა კაპანაძის (პ/ნ 01010003858) კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მთლიანი ტერიტორია წარმოადგენს 169597 მ²-ს, რომლის ნაწილ ტერიტორიაზე - დაახლოებით 36000 მ² , რომელიც იჯარით აქვს აღებული რამაზ ჭუმბურიძეს, დაწყებული აქვს ტევზსაშენი ტბორების მოწყობა თავისი ინფრასტრუქტურით.

2019 წლის იანვარში დაიწყო თევზსაშენი ტბორების მშენებლობა. შენების პროცესშია ორი ტბორი: პირველი ტბორის სიგრძე არის 120 მ, სიგანე - შემომსვლელთან 60 მ, ხოლო დამბასთან - 80 მ, ზედაპირის ფართობი 8400 მ², საშუალო სიღრმით 0.80 მ. მეორე ტბორის სიგრძე არის 130 მ, ხოლო სიგანე - 80 მ, ზედაპირის ფართობი 10400 მ², საშუალო სიღრმით 1,5 მ. ორივე ტბორი ერთმანეთთან დაკავშირებულია კასკადური დამბით. დამბის მარცხენა კუთხეში დამონტაჟებულია გამომსვლელი მილი დიამეტრით 540 სმ, რომლითაც ხდება მეორე ტბის წყალმომარაგება. ორივე ტბაში დატოვებულია 2000-2000 კვადრატული მეტრი კუნძულები, რომლებიც დაფარულია 30-დან 80 სანტიმეტრამდე წყლით.

პირველი ტპორის წყლის მოცულობა კუნძულების გათვალისწინებით ტოლია 5500 მ³ ხოლო მეორესი 13000 მ³, ანუ ჯამური მოცულობა 18500 მ³.

შპს „საქართველოს მელიორაციასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. დანართში), ხდება გარდაბნის რაიონის სამელიორაციო არხის გ-7 გამშვებიდან აღნიშნული ტბების წყალმომარაგება. წყალმომარაგების ინტენსივობაა დაახლოებით 10 ლ/წამში. ტბის დაცლის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ტბაზე არსებული შამბდორი.

პირველი ტბორის (5500 მ$^3$ მოცულობის) დაცლა პრაქტიკულად არ ხდება. წლიწადში ერთხელ ან ორ წელიწადში ერთხელ შესაძლებელია მხოლოდ 13000 მ$^3$ მოცულობის ტბორის დაცლა. აღნიშნული წყალი ჩაედინება სადრენაჟე არხების ქსელში და ნაწილდება სხვადასხვა მიმართულებით, მოცემულ ტერიტორიაზე არსებულ მიწებსა და ნაპრალებში, რომლის უმრავლესობა წარმოადგენს გელა კაპანაძის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, სადაც საბოლოოდ იკარგება. ორივე ტბის შამბდორი დაცულია მფლიტრავი ბადეებით. ასევე იგეგმება გამომსვლელი წყლისთვის ბეტონის აუზის მოწყობა, რათა თავიდან იქნას აცილებული თევზის ან ლიფსიტის ველურ ბუნებაში მოხვედრა. აღნიშნული ბეტონის აუზი აღჭურვილი იქნება სხვადასხვა ზომის ფილტრებით, რაც თავისთავად ამცირებს თევზის გასვლის შანსს. ასევე იგეგმება ორივე ტბის მთელ პერიმეტრზე ქარსაცავი ზოლის გაშენება; მიწაყრილი დამბების ხელოვნური გამწვანება; ხეხილის ბაღის გაშენება; საყარაულო ხის კოტეჯის დადგმა კანონით დადგენილი ნორმების დაცვით; ფანჩატურის მოწყობა მოყვარული მეთევზეებისთვის; საპირფარეშობის მოწყობა ბეტონის ამოსაწმენდი ჭებით; 4 ცალი სადედეს მოწყობა ზომით: სიგრძე - 10 მ, სიგანე - 4 მ, რათა შესაძლებელი გახდეს უკონტროლო ქვირითობის თავიდან აცილება და მოხდეს მათი ხელოვნური განაყოფიერება.

ზემოთ აღნიშნული ორივე ტბორის მოწყობისათვის უკვე ჩატარებულია მიწის სამუშაოები და ისინი შევსებულია წყლით.

მოგახსენებთ, რომ ამ ორი ტბიდან დღევანდელი მდგომარეობით გათევზიანებულია მხოლოდ პირველი, სადაც ბინადრობს: 200 ცალი თეთრი ამური (5-დან 25 კგ-მდე), 500 ცალი კობრი (500 გ-დან 5 კგ-მდე), 300 ცალი ჭრელი სქელშუბლა (ზომით 1,5-დან 3 კგ-მდე) და 15 ცალი ლოქო (2-დან 6 კგ-მდე). არსებულ ტერიტორიაზე წყალმცურავ ფრინველთა სიმრავლის გამო, არსებობენ ისეთი თევზის სახეობები როგორებიცაა ფსევდორაზია, კარჩხანა, ქაშაპი, თაღლითა.

ასევე იგეგმება ზემოთ აღნიშნული სარწყავი არხის გ-7 გამშვებთან დამცავი ფილტრების მოწყობა, რათა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი თევზის მიგრაცია.

ორივე სატორედან ჯამურად წელიწადში მოსალოდნელია მაქსიმუმ 10 ტონა თევზის წარმოება.

ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორიაზე გარდა თევზსაშენი ტბორებისა, იდგმება საყარაულო ხის კოტეჯის დადგმა კანონით დადგენილი ნორმების დაცვით; ფანჩატურის მოწყობა მოყვარული მეთევზეებისთვის; საპირფარეშობის მოწყობა ბეტონის ამოსაწმენდი ჭებით (ორი ცალი); ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობა პრაქტიკულად არ გამოიწვევს გარემოზე რაიმე უარყოფით ზემოქმედებას.

ტერიტორიაზე არის გათვალისწინებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემის მოწყობა.

თევზსაშენი ტბორების მომსახურეობას გაუწევს 2 ადამიანი.

განსახილველ ტერიტორიაზე „ენერგო პრო ჯორჯია"-სთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდება აღნიშნული ტერიტორიის ელექტრიენეგიით მომარაგება, რომლისათვის მის მიერ გაყვანილი იქნება შესაბამისი ელექტროგაყვანილობა.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ადგილი არ აქვს საწარმოს უბნებზე რაიმე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში.

თევზსაშენი ტბორების ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება ტბორების წყლით მომარაგებისათვის, ასევე წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება სასმელი მიზნებისათვის განხორციელდება პოლიეთილენის ბიდონებით.

თევზსაშენი ტბორების ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან რაიმე ხმაურის გამომწვევი დანადგარების განთავსება არ იგეგმება.

თევზსაშენი ტბორების ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, სადაც ხორციელდება მხოლოდ ერთწლიანი კულტურების მოყვანა, რომლებზედაც შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტბორების მოწყობა დადებით გავლენას იქონიებს მის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებზე მიწის სინოტივის გაზრდის თვალსაზრისით.

ასევე თევზსაშენი ტბორების მოწყობის და მის შემოგარენში არ ფიქსირდება რაიმე ცხოველთა სახეობები. აღნიშნული ტბორების მშენებლობა მხოლოდ დადებით ზემოქმედებას იქონიებს ცხოველთა სამყაროზე, მით უმეტეს წყლის ფრინველებზე.

თევზსაშენი ტბორების მოწყობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენა მოხსნილი იქნა და გამოყენებული იქნა ხეხილის ბაღის გაშენებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის მოსაწყობად, ასევე გამწვანების ზონების მოსაწყობად.

თევზსაშენი ტბორების ფუნქციონირებისას ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნები არ დაფიქსირებულა. დამატებით რაიმე სამუშაოების ჩატარების დროს რაიმე სახით მათი გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

თევზსაშენი ტბორების მოწყობისა და ფუნქციონირებისას ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნა მხოლოდ მიწის ნაკვეთი, ხოლო ფუნქციონირებისას გამოყენებული იქნება სარწყავი არხიდან მიღებული წყალი.

თევზსაშენი ტბორების მშენებლობისას რაიმე სახის ნარჩენები არ წარმოქმნილა, რადგან ტბორების მოწყობისას ამოღებული მიწის მასა გამოყენებული იქნა დამბების მოწყობისათვის. ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში 1.5 $მ^3$-ის ოდენობით), ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიები. დაცულ ტეროტორიებზე რაიმე სახის ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის სიახლოვეს რამე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხვდება. აქედან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რამე სახით ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

თევზსაშენი ტბორების ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ტბორები არ არის.

თევზსაშენი ტბორების ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ტბორების დამბის რაიმე სახით დაზიანებისას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის გადადინება. იმის გათვალისწინებით, რომ ტბორები არ წარმოადგენენ დიდ მოცულობის, მით უმეტეს ძირითადი ნაწილი განთავსებულია ნულოვანი ნიშნულის ქვეშ, მათი რაიმე უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიების დროის მცირე მონაკვეთზე წყლით უმნიშვნელო დონით დაფარით.

თევზსაშენი ტბორების ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს სარწყავი არხიდან რაიმე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლის შემოსვლის შემთხვევაში ტბორებში არსებული თევზების დაღუპვა, რომელიც გამოიწვევს მეწარმისათვის ეკონომიური ზიანის მიღებას.

პატივისცემით, რამაზ ჭუმბურიძე

დანართი 1. თევსაშენი ტბორების მოწყობის გენ-გეგმა



დანართი 2. საქართველოს მელიორაციასთან სარწყავი არხიდან წყალაღების შეთანხმების ხელშეკრულება.

საქართველოს მელიორაცია / GEORGIAN AMELIORATION

# მომსახურების განაცხადი

ხელშეკრულების N: 50303372

აბონენტის N: 2031542

მომსახურების სახე: ირიგაცია

ცხელი ხაზი:

განცხადების შევსების თარიღი: 04/03/2019

*შეკვეთის კატეგორია:*

- [√] ახალი განაცხადი
- [ ] განაცხადის კორექტირება
- [ ] განაცხადის გაუქმება

*შემკვეთი:*

- [ ] მესაკუთრე
- [ ] მოიჯარე
- [√] მოსარგებლე
- [ ] ხელშეკრულება
- [ ] იჯარის ხელ./მინდობილობა
- [ ] წინასწარი ცადახდა

*მიწის ნაკვეთი:*

| | |
|---|---|
| საკადასტრო კოდი: | 81.07.04.249.. |
| GIS კოდი: | 292780 |
| სერვის ცენტრი: | ზემო სამგორი |
| სარწყავი სისტემა: | ზემო სამგორის ს.ს. |
| გამანაწილებელი: | ზემო სამგორის ს.ს. ქვემო მაგისტრალი გ-7 |
| საერთო ფართობი (ჰა): | 16.9000 |
| სარწყავი ფართობი (ჰა): | 3.0000 |
| ტარიფი (ლარი): | 150.0000 |
| საერთო ღირებულება: | 450.0000 |

*მოთხოვნის პერიოდი*

| მოთხოვნის პერიოდი | 1 - 15 | 16 - 31 |
|---|---|---|
| იანვარი | | |
| თებერვალი | | |
| მარტი | | √ |
| აპრილი | | |
| მაისი | | √ |
| ივნისი | | |
| ივლისი | √ | |
| აგვისტო | | √ |
| სექტემბერი | | |
| ოქტომბერი | | |
| ნოემბერი | | |
| დეკემბერი | | |

განცხადების შესავსებად გამარჩია შესაბამისი უფლებამოსილება

განმცხადებელი - სახელი, გვარი / დასახელება:
რამაზი ჭუჭბურიძე

განმცხადებელი - პირადი ნომერი / საიდ. კოდი:
01034004252

განმცხადებელი - ფაქტიური მისამართი:

წარმომადგენელი - სახელი, გვარი:
რამაზი ჭუჭბურიძე

წარმომადგენელი - პირადი ნომერი:
01034004252

ხელმოწერა: ________________

ტელ: 593316012 თარ: __/__/____

*კულტურა:*

მარცვლოვან პარკოსანი კულტურები:

ბოსტნეულ ბაღჩეული კულტურები:

კაკლოვანი კულტურები:

კურკოვან თესლოვნები:

2. მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომსახურების გაუქმების განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მომსახურების მიღებამდე, ხოლო კორექტირების განაცხადის შევსება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართობზე, რომელზეც არ მომხდარა სარწყავი წყლის მიწოდება და მხოლოდ სარწყავი ფართობის ცვლილების შემთხვევაშია დასაშვები კორექტირება.

3. მომხმარებელი, მომსახურების განაცხადზე ხელმოწერით ეთანხმება შპს „საქართველოს მელიორაციის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე **http://www.ag.ge/Ge/Services** გამოქვეყნებულ სამელიორაციო მომსახურების სტანდარტულ პირობებს და ტარიფებს.

4. მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იყოს 1 ოქტომბრამდე თუ 1 პუნქტით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ხოლო, ტბორისთვის წყლის მიწოდების მომსახურებაზე საფასური გადახდილი უნდა იყოს 1( დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ განაცხადით [illegible]

ვაზი:

ბალახი და სხვა:

***სატბორე მეურნეობა:***

თევზის სახეობები:

თეთრი ამური, საზანი

***მომსახურების გაწევის პირობები:***

1. მომსახურების განაცხადი შეიძლება წარადგინოს, როგორც საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელმა, ასევე შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა მიწის მეპატრონის მინდობილობის ან საჯარო რეესტრში გატარებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი საბუთების არ არსებობის შემთხვევაში მომსახურების გაწევა დასაშვებია მხოლოდ მომსახურების წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

5. კომპანია უფლებას იტოვებს განმცხადებელს უარი უთხრას მომსახურების გაწევაზე, თუ მას 1 აპრილამდე არ ექნება დაფარული წლის მომსახურების საფასური, ან თანხმობა ვალის გადანაწილების შეთანხმებაზე.

6. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება და წყლის დატაც იწვევს მოქმედი კანონმდებლობით შესაბამის სანქციებს

7. ბენეფიციარმა, მოთხოვნის პერიოდში მომსახურების მიუღებლო შემთხვევაში, მომსახურების შესაბამისი პერიოდის ბოლო დღიდან დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს მომსახურ მიუღებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად დაერიცხება მომსახურების საფასური

***პასუხისმგებელი პირი:***

***საბანკო რეკვიზიტები:***

| | |
|---|---|
| თი-ბი-სი ბანკი: | GE42TB7484736020100003 |
| საქართველოს ბანკი: | GE58BG0000000182323100 |
| ვი-თი-ბი ბანკი: | GE20VT1100000000093408 |
| ლიბერთი ბანკი: | GE54LB0113111469652000 |

დანართი 3. მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯაროო რეესტრიდან.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 81.07.04.249**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
**N 882019149183 - 28/02/2019 13:54:58**

მომზადების თარიღი
**06/03/2019 11:08:34**

---

### საკუთრების განყოფილება

| ზონა<br>გარდაბანი | სექტორი<br>გამარჯვება | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| **81** | **07** | **04** | **249** |

მისამართი: გარდაბანი , სოფელი გამარჯვება

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 169597.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**81.07.00.173;**

---

### მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 812007010841 , თარიღი 01/06/2007**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-958 , დამოწმების თარიღი:05/03/2007 ,ნოტარიუსი დ. ბედიანაშვილი
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-2280 , დამოწმების თარიღი:25/05/2007 ,ნოტარიუსი დ. ბედიანაშვილი

**მესაკუთრეები:**
**გელა კაპანაძე** ,P/N: 01010003858

**მესაკუთრე:**
**გელა კაპანაძე**

**აღწერა:**

---

### იპოთეკა

**განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018384518 თარიღი 07/05/2018 13:11:25**

**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/05/2018**

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "არდი დაზღვევა"404858631;
მესაკუთრე: გელა კაპანაძე P/N: 01010003858;
საგანი:სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 169597.00 კვ.მ ;

**იპოთეკის ხელშეკრულება. რეესტრის ნომერი N180503745, დამოწმების თარიღი04/05/2018, ნოტარიუსი ნ. უბერი**

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

---

### სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019149183 თარიღი 28/02/2019 13:54:58 | მოიჯარე: რამაზ ჭუმბურიძე P/N: 01034004252;<br>მესაკუთრე: გელა კაპანაძე P/N: 01010003858;<br>საგანი:დაზუსტებული ფართობი: 169597 კვ.მ ;<br>ვადა:5 წელი; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/03/2019 | **იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N190218339, დამოწმების თარიღი28/02/2019, ნოტარიუსი გიორგი ლომაშვილი** |

## შეზღუდული სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882009372167 თარიღი 16/11/2009 15:09:53 | მოსარგებლე: შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"206237491;<br>მესაკუთრე: გელა კაპანაძე P/N: 01010003858;<br>საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 26973.21 კვ.მ.; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/12/2009 | **სერვიტუტის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N090755580, დამოწმების თარიღი16/11/2009, ნოტარიუსი დ. ბედიანაშვილი** |

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ქვემდებარეობის საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge